სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N100
(ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი)

ქ. ბათუმი

05 ივლისი, 2021 წელი

ერთი მხრივ **სსიპ „აჭარის მუზეუმი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **თეონა ზოიძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს "გეპა" (ს.კ.** 445506587) (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **გელა პატარაიას** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის „ს[1]“ ქვეპუნქტის და შოთა აბაშიძის 2021 წლის 05 ივლისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ აჭარის მუზეუმში დაშვების ქსელის გასამართად სხვადასხვა სახის აქსესუარების შეძენა, კერძოდ - ქსელები - (CPV32400000) **და საიზოლაციო ლენტი** (31651000) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 127 (ასოცდაშვიდი) ლარი და 30 თეთრი.

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასების ცხრილით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს **2021 წლის 10 ივლისამდე.**

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. 90.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სასაქონლო ზედნადების გადაგზავნის ან/და მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის მიხედვით შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა ან/და შესაბამისი

საგადასახადო დოკუმენტის აუთვისებელ თანხაზე. წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ ექნება

7. გარანტია

7.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ აჭარის მუზეუმის წარმომადგენელი - შოთა აბაშიძე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.05 პროცენტის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს **2021 წლის 31 დეკემბრამდე.**

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:		**მიმწოდებელი:**
სსიპ აჭარის მუზეუმი		**შპს „გეპა"**
ბათუმი, ხ. ახვლედიანის 4		მის: ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. 90
ტელ 0422 27 11 75		ტელ/: 22 13 47
ბ/კ TRESGE22		ბ.კ MIBGGE22
სახაზინო კოდი : 05131105		ა/ნ GE92PC0033600100053916
ს.კ. 24769271		ს/კ 445506587
ბანკის დასახელება		ბანკის დასახელება
სახელმწიფო ხაზინა		სს „პროკრედიტ ბანკი"
დირექტორი **თეონა ზოიძე**		**დირექტორი:** **გელა პატარაია** Gela Pataraia Подписано цифровой подписью: Gela Pataraia Дата: 2021.07.05 16:43:26 +04'00'

დანართი N1

ფასების ცხრილი

ფორმა # 3

№	დასახელება	საზომი ერთ.	CPV	რაოდ ენობა	ფასი	თანხა
1	ქსელის აქსესუარი (ჯეკი)	ცალი	31512000	6	0,30	1.80
2	ქსელის კაბელი 10მ პაჭკორდი	მეტრი	31320000	1	10	10.00
3	ქსელის კაბელი - 1.5მ პაჭკორდი	ცალი	31651000	1	4,00	4,00
4	ქსელის კაბელი 3მ პაჭკორდი	ცალი	31651000	1	6,00	6,00
5	კაბელ კანალი თვითწებადი 40*40მმ	ცალი	31680000	1	3,50	3.50
6	გამანაწილებელი (სვიჩი) 10-/100მბ	ცალი	31518600	3	32,00	96,00
7	საიზოლაციო ლენტი	ცალი	31518600	1	6,00	6,00
127,30 ლარი (ას ოცდაშვიდი ლარი და 30 თეთრი)						

მიმწოდებელი: შ პ ს „ გეპა"

დირექტორი გელა პატარაია

შემსყიდველი სსიპ აჭარის მუზეუმი

დირექტორი თეონა ზოიძე

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

05 ივლისი, 2021 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ „აჭარის მუზეუმი“-ს მიერ შპს „გეპა“-სთან (ს.კ. 445506587) 2021 წლის 05 ივლისს დადებული N100 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი /თ. ზოიძე/